1)

თუ 1200-ს გავამრავლებთ 370-ზე, მაშინ რამდენი ნული იქნება ნამრავლის ბოლოში?

ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

2)

დააკვირდი სურათს.



რომელი სამკუთხედის პერიმეტრია სხვებისგან განსხვავებული? შემოხაზე.

LIVEWORKSHEETS

3)

რომელი ფიგურების გამუქებული ნაწილი გამოსახავს ამ ფიგურის ნახევარს?



ა) A და B ბ) B და C გ) A და D დ) C და D

4)

მოცემულია კუბი:



რომელია ABNM და BCKN წახნაგების **საერთო** წიბო?

ა) BC ბ) AB გ) BN დ) CD

LIVEWORKSHEETS

5)

კლასში მასწავლებელმა ჩაატარა გამოკითხვა საყვარელი ფერების შესახებ. მონაცემები წარმოდგენილია პიქტოგრამით.

საყვარელი ფერები	**მოსწავლეების რაოდენობა**
წითელი	
მწვანე	
თეთრი	
ლურჯი	

= 5 მოსწავლე

რამდენ მოსწავლეს უყვარს თეთრი ან ლურჯი ფერი ? დასვი კითხვები და ამოხსენი ამოცანა.

ამოხსნა ჩაწერე აქ:

პასუხი: _____

LIVEWORKSHEETS

6)

როგორი რიცხვი უნდა გამოვაკლოთ **9000**-ს, რომ მივიღოთ **3000**-ზე მეტი რიცხვი?

ა) 8000-ზე მეტი

ბ) 7000-ზე მეტი

გ) 6000 -ზე ნაკლები

დ) 6000-ზე მეტი

7)

რიცხვების რომელი წყვილი უნდა ჩავწეროთ ცარიელ უჯრებში, რომ კანონზომიერების მიხედვით სწორად შევავსოთ ცხრილი?

625	6250
304	3040
158	1580

ა)

320	3220

ბ)

405	4005

გ)

819	8190

დ)

271	2107

LIVEWORKSHEETS

8)

მჭედელს მხოლოდ **22** ნალი აქვს. თითო ცხენისთვის ოთხი ნალია საჭირო. რამდენი ცხენის დაჭედვა შეუძლია მჭედელს თავისი ნალებით? რამდენი ნალი მორჩება მას?

ა) 2 ცხენი და 5 ნალი

ბ) 3 ცხენი და 7 ნალი

გ) 5 ცხენი და 2 ნალი

დ) 5 ცხენი და 3 ნალი

9)

სწორია თუ არა, რომ ცხრილში გამოსახულია ასეთი შესაბამისობა: რიცხვს შეუსაბამეს გაორმაგებული რაოდენობა?

28	56
30	60
50	100
240	120
300	150
400	800

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

LIVEWORKSHEETS

10)

დაფაზე წერია რიცხვები: 1100; 2300; 3300; 4300

მოსწავლემ შეკრიბა **ორი** მათგანი და აღმოაჩინა, რომ მიღებული ჯამის უახლოესი **ათასეული 6000-ია**.

რომელი ორი რიცხვი შეკრიბა მოსწავლემ ?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

11)

მოცემულია გამოსახულება **(34225 · 55) · 272**

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ამ გამოსახულების ტოლი?

ა) 272· (34225+55)

ბ) (272 · 55) + 34225

გ) 34225 · (55 · 272)

დ) 34225 + (55 · 272)

12)

მოცემულია უტოლობა: 2465 < ☐

რა რიცხვი შეიძლება ჩავწეროთ ცარიელ უჯრაში?

ა) 2465 ბ) 2645 გ) 2456 დ) 2464

LIVEWORKSHEETS

13) რომელ წრეშია გამუქებული მისი **მეოთხედი ნაწილი** ?

ა) ბ) გ) დ)

14) შემოხაზე **რვაას ოთხი ათას შვიდის** ციფრული ჩანაწერი.

ა) 8047 ბ) 80407 გ) 804007 დ) 804700

15) რიცხვის **ათასეულის** თანრიგის ციფრია **7**,
ხოლო **ათეულის** თანრიგის ციფრია **2**.

რა რიცხვი შეიძლება იყოს ეს?

ა) 374265 ბ) 457623 გ) 546723 დ) 574623

16) ცხრილის ყველა სტრიქონი შევსებულია პირველ სტრიქონში მოცემული წესის მიხედვით.

ჩაწერე გამოტოვებული რიცხვი ცარიელ უჯრაში.

X	$x : 3 + 7$
6	9
15	12
	17

LIVEWORKSHEETS

17)

რომელი ნაშთიანი გაყოფაა სწორად შესრულებული ?

ა) 52 : 6 = 8 (ნაშთი 4)

ბ) 52 : 6 = 9 (ნაშთი 2)

გ) 52 : 6 = 8 (ნაშთი 3)

დ) 52 : 6 = 10 (ნაშთი 8)

18)

მოცემულია **3586** -ისა და **624** -ის ქვეშმიწერით შეკრების ოთხი ნიმუში. რომელ შემთხვევაშია შეკრება სწორად შესრულებული?

ა)	ბ)	გ)	დ)
3586	3586	3586	3586
+ 624	+ 624	+ 624	+ 624
4110	4210	4100	2962

LIVEWORKSHEETS

19)

მოცემულია ორი დებულება:

I. ზოგიერთი ოთხკუთხედის ორ მეზობელ გვერდს არ აქვს საერთო წერტილი

II. ყოველი ოთხკუთხედის მოპირდაპირე გვერდებს აქვთ საერთო წერტილი

მართალია

ა) მხოლოდ I დებულება

ბ) მხოლოდ II დებულება

გ) ორივე

დ) არცერთი

LIVEWORKSHEETS

20)

რომელი გამოსახულებით შეიძლება x-ის პოვნა, თუ :

$3560 - x = 268$

ა) $3560 + 268$ გ) $3560 - 268$

ბ) $3560 : 268$ დ) $3560 \cdot 268$

21)

ნელიმ 84 ყვავილით ერთნაირი თაიგულები გააკეთა. თითეულ თაიგულში 7 ყვავილია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოსახულებით შეიძლება გამოვთვალოთ თაიგულების რაოდენობა?

ა) $84 \cdot 7 = \square$ გ) $7 + \square = 84$

ბ) $84 - \square = 7$ დ) $84 : 7 = \square$

LIVEWORKSHEETS

22)

დააკვირდი სურათს:



რამდენი სივრცითი ფიგურაა ისეთი, რომლის ყველა წახნაგი არის მრავალკუთხედი?

ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

LIVEWORKSHEETS

23)

გიამ ხის მართკუთხა პარალელეპიპედი გაჭრა შუაზე.



რომელი ფიგურები შეიძლება მიიღოს გიამ ამ გაჭრის შედეგად?

პასუხი შემოხაზე.



LIVEWORKSHEETS

24)

დიაგრამაზე წარმოდგენილია 4 მეგობრის მიერ შეგროვილი ნიჟარების რაოდენობა:



ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადებაა სწორი?

ა) ნიჟარების ნახევარი მოაგროვეს ბიჭებმა.

ბ) ნოდარის მიერ მოგროვილი ნიჟარები მთლიანი რაოდენობის ნახევარზე მეტია.

გ) გოგონების მოგროვილი ნიჟარები მეტია ბიჭების მიერ მოგროვილ ნიჟარებზე.

დ) ნიჟარების ნახევარი მოაგროვა კესომ.

LIVEWORKSHEETS

25)

წაიკითხე ცხრილში მოცემული ინფორმაცია:

სახელი	დაბადების წელი	დაბადების ადგილი	სკოლა	კლასი
დაჩი	2003	ბათუმი	№ 8	მეხუთე
დათო	2004	თბილისი	№ 25	მეექვსე
ეკა	2003	თბილისი	№ 8	მეხუთე
კახა	2003	თბილისი	№ 25	მეხუთე

ჩაწერე ცარიელ უჯრაში იმ ბავშვების სახელები, რომლებიც ერთსა და იმავე წელს დაიბადნენ და თან ერთსა და იმავე ნომერ სკოლაში სწავლობენ.

LIVEWORKSHEETS

26)

წაიკითხე ცხრილში მოცემული ინფორმაცია:

სახელი	დაბადების წელი	დაბადების ადგილი	სკოლა	კლასი
ანი	2004	თბილისი	№ 8	მეხუთე
დათო	2003	გორი	№ 25	მეექვსე
ეკა	2004	ბათუმი	№ 8	მეხუთე
რატი	2004	თბილისი	№ 25	მეხუთე

ჩაწერე ცარიელ უჯრაში იმ ბავშვების სახელები, რომლებიც ერთსა და იმავე წელს დაიბადნენ და სხვადასხვა ნომერ სკოლაში სწავლობენ.

27)

სულ რამდენი ასეული მოთავსდება რიცხვში 14516? პასუხი დაასაბუთე.

ამოხსნა დაწერე აქ:

პასუხი:

LIVEWORKSHEETS